საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1587
10/03/2023

1587-21-2-202303101224

შპს „რუსთავის ფოლადს“
მის: ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. N12
ელ. ფოსტა: contacts@rustavisteel.ge

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 21 თებერვლის N1365 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში არასახიფათო ნარჩენების აღდგენის საწარმოს (წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო) ექსპლუატაციას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N2-385 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა N39 (04.05.2020) „ქ. რუსთავში, წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „რუსთავის ფოლადის“ ნარჩენების დამუშავების საწარმოს (დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების განთავსება, ნარჩენების აღდგენა, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; სახიფათო ნარჩენების განთავსება და სახიფათო ნარჩენების ქიმიური დამუშავება) მოწყობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე.

გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან **3 წლის ვადაში** ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე **განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა** სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ ბრძანება გაცემულია 2020 წლის 5 მაისს, ხოლო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2023 წლის 21 თებერვალს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-9 ნაწილის გათვალისწინებით, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო